№ 236
ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 236
ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა

თავად გრიგოლ ალექსანდრეს ძის
თარხან-მოურავისა

5 ნოემბერს, სოფელ ახალქალაქში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ასულნი კნეინა თამარა გრიგოლის ასული დადიანი, კნიაჟნა ანასტასია გრიგოლის ასული თარხან მოურავი, დაი კნ. ელისაბედ ალექსანდრეს ასული თარხან-მოურავი და ძმანი თავ. დავით და ვასილ ალექსანდრეს ძენი თარხან-მოურავნი.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (2—168—2)

ქართული თეატრი
სეზონის დაწყება
ხუთშაბათს, 5 ნოემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქმნება
I
— პირველად ახალი პიესა —
ჭკუისა მჭირს
კომ. 1 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა
II
კრეჩინსკის ქორწინება
კომედ. 3 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, კუნდელი; ბბ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, თამაზიშვილი და სხ. ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ,

რეჟისორი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
)კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის გუბერნატორის ბრძანება 2 ნოემბერს 1898 წელს.

ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრნი სტატსკი სოვეტნიკი ივანენკო და ტიტულიარნი სოვეტნიკი ვერმიშევი, მისის ბრწყინვალების კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულების აღსასრულებლად, დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდგან.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის გუბერნიის მკურნალმა ბ-ნმა ქიქოძემ დაამთავრა რევიზია ქალაქის სამკურნალოსი და სადეზინფექციო სადგურისა და 2 ნოემბერს შეუდგა სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს საქმის წარმოების რევიზიას.

⁂ მცხეთის ტაძრის განმაახლებელმა კომიტეტმა უკანასკნელ კრების დროს დაადგინა ამიერ-კავკასიაში შემოწირულების შესაკრებად, მღვ. ბერიძის გარდა, აარჩიოს ერთი ან ორი კაცი კიდევ და გაჰგზავნოს ისინი იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიებში. ამას გარდა კომიტეტმა გადასწყვიტა მიიწვიოს წევრებად ყოვლად სამღვდელო კირიონი და ღ. ზ. ბარათაშვილი. იმავე კრებაზედ კომიტეტმა, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის წინადადების თანახმად, დაადგინა მიიწვიოს კომიტეტის საქმის-მწარმოებლად ა. ი. ნატროშვილი.

⁂ უკვე მზად არის და კვირას, 8 ნოემბერს, აკურთხებენ კიდეც ახლად აგებულ თავშესაფარს სულით ავადმყოფთათვის.

⁂ დღეს, 4 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება ექმნება. ამ კრებაზედ საბჭო განიხილავს ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმეებს და იმათ განცხადებას, ვინც ამ სკოლის გამგის თანამდებობა ითხოვა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ქალაქის ყველა ბოქაულებს —დაუყოვნებლივ წარმომიდგინეთ ცნობები იმის შესახებ, ქუჩების, ეზოების დასუფთავებისა და სხვა სასანიტარო წესების დარღვევის გამო სახლის-პატრონებს რამდენჯერ შეუდგინეს ოქმები, ვის გადაეცა ეს ოქმები და მომრიგებელ მოსამართლეებმა რამდენი ოქმი განიხილეს და დაადგინეს განაჩენიო.

⁂ რადგანაც ამ ბოლოს დროს ქალაქში ყვავილი გაძლიერდა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა დააარსოს ორის თვით (1899 წლის პირველ იანვრამდე) გადამდებ სენით ავადმყოფთათვის მეორე თავშესაფარი და გადასდოს ამ საქმისათვის 900 მანათი.

⁂ კვირას, პირველ ნოემბერს, ტფილისის თვით-მმართველობაში მოსამსახურეთ მოლაპარაკება ჰქონდათ საზოგადო სადგომების აგების შესახებ. კრებამ მოიწონა ახალი პროექტი ამ საგნის შესახებ. ამ პროექტის ძალით თითო მოსამსახურეს დაეთმობა ხუთი ოთახი, რისთვისაც მან უნდა იხადოს წელიწადში 250 მანეთი 25 ხუთის წლის განმავლობაში, რომლის შემდეგ სადგომი იმის საკუთრება გახდება. სადგომების აგებას აპირებენ ვერაზედ. კრებამ ამოარჩია კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ადგილი და თავისი აზრი წარმოუდგინოს კრებას. სახლების აგებას კისრულობს ერთი კაპიტალისტი, რომლის ვალსაც შემდეგ მოსამსახურენი სახლის ქირით გაისტუმრებენ.

⁂ გაზ. „კავკასს" დეპეშით ატყობინებენ კავკავიდგან: „პირველ ნოემბერს ყოვლად სამღვდელო ვლადიმირმა, არდონის სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის იოანესი და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით, აკურთხა ქართულის სასწავლებლის ეკკლესია, აგებული მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევის სახსოვრად. დაესწრნენ: ოლქის უფროსი, მეციხოვნეთა უფროსი და სხვა მოხელენი.

⁂ აზრადა აქვთ ქ. გორში გაამრავლონ პოლიციელთა რიცხვი და მოუმატონ მათ ჯამაგირი. თითო პოლიციელს წელიწადში 300 მანეთი ექმნება ჯამაგირი.

⁂ გორის დისტანციის უფროსმა თავ. ჯავახიშვილმა შეიპყრო ბორჩალოს მაზრის სოფ. გოდაკლარის მცხოვრებნი ნაგი-ქურბან-ოღლი და აბდულ-ქაირალი-ოღლი, რომელნიც შარშან თავ. ციციშვილის სახლს დაეცნენ და აგრეთვე ქარელს ახლო მახლო მდებარე სოფლებში სხვა ქურდობაც ჩაიდინეს.

⁂ გუშინ, 3 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო ახალის სისტემის სადღვებელი. ეს სადღვებელი მეტად მარტივი და იაფია. ღირს 85 მან., მაშინ როდესაც სხვა სადღვებლები 100—250 მანეთამდე ფასობს.

⁂ ,,კავკას''-ს თელავის მაზრის სოფ. კისის-ხევიდგან სწერენ, რომ წელს პურისა და ღვინოსი კარგი მოსავალი იყოო. პურის ფასი თან და თან მატულობს, ასე რომ ეხლა 3 მანეთამდე ავიდა. იმედი აქვთ, რომ ამ ზამთარს ღვინის ფასიც აიწევს.

⁂ სოხუმიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ."-ს მიხეილ თოფურიძის გაძარცვის და დაჭრის დაწვრილებით ამბავს. ბოროტ-მომქმედებს წაუღიათ 760 მანეთი ფულად და 2,500 მანეთის ძვირფასი ნივთები (ოქროს საათი, ვერცხლის ქამარი, ხანჯალი და სხვა). კასსა, სადაც 10,000 მანეთი ყოფილა შენახული, ბოროტ-განმზრახველთ ვერ უპოვნიათ. როგორც თვით თოფურიძეს განუცხადებია, ქურდები სხვა და სხვა ენაზედ ლაპარაკობდნენ თურმე—ოსმალურსა, ბერძნულსა, რუსულსა და ქართულზედ. თოფურიძე შვიდ ადგილას დაუჭრიათ, მათში ორი ჭრილობა, მძიმეა. დაუჭრიათ აგრეთვე თოფურიძის მოსამსახურე კაკუჩაია, სამს ადგილს—თავსა, ხელსა და გვერდში. ამის მიუხედავად, ექიმის სიტყვით, არც თოფურიძეს და არც კაკუჩაიას საშიშო არაფერი მოელის. 26 ოქტომბერს, იმავე გაზეთის სიტყვით, სოხუმში ერთს მუშას, კ.—ს, მოუკლავს თავისი ამხანაგი მუშავე. მკვლელი დაუპატიმრებიათ.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ ფოთიდგან, რომ აქ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმ ბოროტ-მოქმედების შესახებ, რომელიც საეპარქიო სანთლის ქარხანის გამგეობის საქმეში აღმოუჩენიათ. გურია-სამეგრელოს ეპარქიის ბლაღოჩინთა კრებამ გადასწყვიტა ამ ქარხნის საქმეთა რევიზია მიანდოს სამრევლო საეკკლესიო სკოლების ზედამხედველს თ. ჟორდანიას და ეპისკოპოსის კანცელარიის მდივნის თანაშემწეს კ. ხოპერიას.

⁂ ქუთაისი. კვირას, პირველ ნოემბერს, ქ-ნ ეკ. ნიკოლაძის თაოსნობით საქალაქო თეატრში გაიმართა იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა. ფასები ძალიან მცირე იყო: პარტერში პირველი ორის რიგის სკამები ღირდა თითო აბაზი, შემდეგის ორი რიგისა—15 კაპ., მეხუთე და მეექვსე რიგისა—10 კაპ., დანარჩენი როგორც პარტერში, ისე ზევით—თითო შაურად. ლოჟები დაჭერილი იყო ინტელიგენციის მიერ—თითო სამ-სამ მანეთად. ხალხი მრავალი დაესწრო; არც ერთი ბილეთი არ დარჩენილა გაუყიდავი. ითამაშეს ავ. ცაგარლის პიესა „ხანუმა". ხანუმას როლს ასრულებდა ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა, რომელმაც თავისი საუცხოვო თამაშობით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. არაფერი უჭირდა დანარჩენ მოთამაშეებსაც, რომელთა შორის ზოგიერთები პირველად გამოვიდნენ სცენაზე. შემოსავალი 79 მანეთია.

⁂ ჭიათურა. ყოველ კვირა და პარასკეობით აქ იმართება ბაზრობა. გასასყიდლად შემოდის სხვა და-სხვა სოფლიდგან პური, სიმინდი, წვრილი ოთხ-ფეხი საქონელი, შინაური ფრინველი და სხ. საბაზრო ადგილად არის მიჩენილი ერთი მეტის მეტად ვიწრო და მოუხერხებელი ადგილი, ასე რომ აქ ხალხი ვერ თავსდება და გავლა-გამოვლაც მეტად გასაჭირია. ამ ადგილის მახლობლად კი, 6—7 საჟენის სიშორეზედ სწორი და განიერი ადგილია, ბევრად უფრო მოხერხებული საბაზროდ პირველს ადგილზედ. ურიგო არ იქმნება ბაზრობას ამ ადგილზედ გადაიტანდნენ და ამით საქმეს გაუადვილებდნენ როგორც საქონლის გამსყიდველთ, ისე მსყიდველთაც.

⁂ ამ ბოლოს დროს ამიერ-კავკასიაში ძალიან გავრცელდა ქსრედ წოდებული მცენარე რამე ანუ ჩინური ჭანჭარი. ამ მცენარისაგან სხვა და-სხვა ფართლეულობას, ძაფებს ამზადებენ. განსაკუთრებით ბევრი დათესეს ეს მცენარე წელს ზუგდიდის მაზრაში.

⁂ ყვავილი თანდათან ძლიერდება ქალაქში. 2 ნოემბერს ექვსი კაცი გახდა ავად ყვავილით, 5 მეხუთე ნაწილში და ერთიც—მე-4 ნაწილში. ამ ჟამად თავისუფალი ადგილი აღარ არის ავადმყოფების დასაწვენად აღარც ქალაქის მიხეილის საავადმყოფოს ყვავილით ავადმყოფთა განყოფილებაში და აღარც გადამდებ სენით ავადმყოფთა თავშესაფარში.

⁂ მიხეილის ქუჩაზედ, ავაკოვის სახლში მცხოვრებმა ინჟინერ-ტეხნოლოგმა კრესტოვმა პოლიციაში განაცხადა, რომ ჩემს ბინაზედ ჩამადნიდგან 140 მანეთი მომპარესო. ამასთან კრესტოვმა ეჭვი იუსტინ დონგაძეზედ მიიტანა, რომელიც იმასთან მსახურებდა. დონგაძე შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

⁂ ამ დღეებში შეუდგებიან ნიკიტინის ცირკის შენობის შეკეთებას. ამ აზრით ტფილისში თვით ცირკის პატრონი ნიკიტინი ჩამოვიდა. მუშაობას ამ თვის გასულს დაამთავრებენ. აზრადა აქვთ დეკემბერში წარმოდგენების გამართვა დაიწყონ.

⁂ გაზ. „კავკას“ს სწერენ, რომ 30 ოქტომბერს ჩხარის ბოქაულმა ყურულმა შეიპყრო აზნაური ბარამ ჯაფარიძე, რომელმაც ტფილისში ექიმი ქანანოვი გაქურდაო. შეპყრობილს თან აღმოაჩნდა ზოგიერთი მოპარული ნივთი.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ 235 ნომერში, 2 ნოემბრის დეპეშაში შეცდომით არის დაბეჭდილი: „ჰერცოგს ერნსტს მიულოცეს 25 წლის შესრულება იმის მეფობისა და სხვ.“ უნდა იყოს: „მიულოცეს 25 წლის შესრულება იმის შეფობისა“ და სხვ.

234 ნომერში, ფელეტონში („წკიპურტი“) შეცდომით დაბეჭდილია: „Судъ состоялъ изъ трехъ лицъ“. უნდა იყოს „Судъ состоялъ“ და სხვ.

◆

ქალაქის საბჭო

2 ნოემბერი

წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, ქალაქის მდივანმა, კრების თავმჯდომარის წინადადებით, საბჭოს აცნო რომელი და რომელი ხმოსანი დააკლდა 5, 12, 14, 19 და 22 ოქტომბრის კრებას და რა მიზეზით.

თავმჯდომარე. დღეს მივიღე ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა, რომლითაც ის გვატყობინებს, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის, თავ. გოლიცინის განკარგულებით ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრნი ბ-ნნი ქ. ა. ვერმიშევი და ა. ა. ივანენკო სამსახურიდგან გადაყენებულნი არიან და ეს განკარგულება დაუყოვნებლივ აღსრულებაში მოიყვანეთო. მთავარ-მართებლისგანკარგულება დღესვე იქმნა აღსრულებული. რა მიზეზით იქმნენ გადაყენებულნი ბ-ნნი ვერმიშევი და ივანენკო, ჩემთვის არ უცნობებიათ. როცა მაცნობებენ, მეც დაუყოვნებლივ მოვახსენებ საბჭოს.

ამასთანავე უნდა გაცნობოთ, რომ, მთავარ-მართებლის განკარგულებით, სარევიზიო კომისიაა დანიშნული ქალაქის თვით-მართველობის საქმეების განსახილველად. კომისიის თავმჯდომარედ ტფილისის ვიცე გუბერნატორი ბ-ნი სტეფანოვიჩია, რომელმაც თანაშემწეებად მიიწვია კაცები სხვა-და-სხვა დაწესებულებიდგან. კომისია უკვე შეუდგა ქალაქის საქმეების რევიზიას.

დასასრულ საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ 8 ნოემბერს დღესასწაული გაიმართება მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ორმოც-და-ათის წლის სახელმწიფო მოღვაწეობისა გამო. ქალაქმა უთუოდ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დღესასწაულში. გამგეობამ დაადგინა — არჩეულ იქმნას საბჭოს მიერ კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად შეიმუშავებს, თუ რა წესითა და რიგით იდღესასწაულოს ქალაქმა ეს სახსოვარი დღე.

საბჭომ ერთხმად შეიწყნარა გამგეობის წინადადება და კომისიის წევრებად აირჩია ცხრა ხმოსანი: თავ. ნ. ვ. არღუთინსკი, ბ-ნნი ოსტროგორსკი, დოლუხანოვი, ოდნოსუმოვი, ანანოვი, ოპოჩინინი, მიტკევიჩი, ა. ს. ბაბოვი და თავ. ა. ი. ბებუთოვი.

წაკითხულ იქმნა ქალაქის მამულების დამფასებელ კომისიის თავმჯდომარის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კომისია საქმეებს ვერ ასწრებს და რამდენიმე წევრი კიდევ მოუმატეთო.

ქალაქის გამგეობის დადგენილების თანხმად, საბჭომ ხსენებულ კომისიის წევრად ხმოსანი იაკიმოვი აირჩია, ხოლო მეორე წევრის არჩევა შემდეგისთვის გადასდო.

გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკიმ გამგეობისა და ხმოსან-ექიმების კომისიის წინადადება წაიკითხა ქალაქში მეორე ფარდულის გამართვის შეხახებ გადამდებ სენით ავადმყოფთათვის. ხმოსანი-ექიმები და მათთან ერთად გამგეობის ერთი წევრი თავ. არღუთინსკი იმ აზრს დასდგომიან, რომ რადგან ქალაქში გამოულეველია სხვა და სხვა მოარული სენი, ამიტომ საჭიროა სამუდამო საავადმყოფო იქმნას გამართული, ხოლო გამგეობას-კი დაუდგენია, მხოლოდ ორის თვით გაიმართოს ფარდული და დროებით მიწვეულ იქმნას ქალაქის მეშვიდე განყოფილების ექიმიო. ფარდულის შესანახად გამგეობას 900 მან. გადაუდვია.

ცოტაოდენ კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: გამართულ იქმნას სამუდამო ფარდული გადამდებ სენით ავადმყოფთათვის; ფარდულისთვის განსაკუთრებული ექიმი იქმნას მოწვეული; ამ საქმისათვის ამ წელში დაიხარჯოს 900 მან., ხოლო შემდეგ წლებში სხვა წყარო აღმოაჩინონ.

რამდენიმე წვრილმან საგნების განხილვის შემდეგ, საბჭომ კენჭის ყრით გარდასწყვიტა — შემწეობა აღმოუჩინონ და ფულად მისცენ ქალაქის თვით მართველობაში მოსამსახურეთ: ბ-ნთ ზედგინიძეს 100 მან., თუხარელს 100 მან., გაიდას 120 მან., მელიქ-აღავერდოვს 500 მან. და ლუნკევიჩს 425 მან.

◆

წვრილი ოჩამჩირიდგან

(ოჩამჩირის ორ-კლასიან სასწავლებლის მდგომარეობა უწინ და ეხლა)

1883—84 წწ. ოჩამჩირელ საზოგადოებამ თ. ჩ—ა და ს. თ—იას თაოსნობით, სოფ. ილორისა და ბესლახუბას დახმარებით, ააშენა სამინისტრო სასწავლებლისთვის შენობა, რომელიც 7000 მან. დაჯდა. საზოგადოება სასწავლებლის შესანახად იხდიდა ყოველ-წლობით 1000 მან. და 200 მან.—კერძოთ თ. ჩ—ა. დანარჩენს ხარჯს მთავრობა ჰკისრულობდა. პირველად სასწავლებელი ერთ კლასიანი იყო 4 განყოფილებით. სასწავლებლის აშენებაში ვისაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, სწავლის ფულს ის არ იხდიდა. პირველად ამ სასწავლებელში მასწავლებლად იყო თომა ეშბაია, რომელიც სულითა და გულით ეკიდებოდა თავისს საქმეს. სასწავლებელში ასწავლიდნენ მაშინ: სამღრთო ისტორიას, რუსულ ენას, ანგარიშს, მართლ-წერას; მეოთხე განყოფილებაში მოსწავლე გაიცნობდა რუსეთის ისტორიას და დედამიწის ხუთის ნაწილის სახელს. კურსი ამით თავდებოდა.

ბ-ნ ეშბაიამ დიდი ღვაწლი დასდო სასწავლებელს; მან სწავლა შეაყვარა არამც თუ პატარა ბავშვებს, რომლებსაც მშობლები იოლად იმეტებდნენ, არამედ 18—20 წლის ჭაბუკთაც, რომელნიც ხშირად ოჯახის ბურჯს შეადგენენ. ეშბაიამ შემოიღო სალამოობით სწავლება. საღამოს 7 საათზე მოსწავლეები კვლავ იკრიბებოდნენ სასწავლებელში, სადაც სწავლა-მეცადინეობა გრძელდებოდა ღამის 10 საათამდე. ამგვარად ბ-ნ ეშბაიას დღე და ღამ მოსვენება არა ჰქონდა და მისი მოწაფეებიც საუკეთესონი იყვნენ. ეს იქიდგანა სჩანს, რომ ოჩამჩირის სასწავლებლის მესამე განყოფილების მოწაფეები სოხუმის სამთო სასწავლებლის 1 კლასში იჭერდნენ ეგზამენს, რაც დიდს სიყოჩაღეს ნიშნავს. საზოგადოება ბ-ნ ეშბაიას შრომას მხოლოდ ერთს წუნსა სდებდა: მისმა მოწაფეებმა ქართული არ იცოდნენ. საზოგადოებამ ამ ნაკლის გასწორება მთავრობას სთხოვა. ამ დროს კიდევაც გადაიყვანეს პატივცემული თომა ეშბაია წალენჯიხის სასწავლებლის ზედამხედველად; ხოლო მის ადგილას-კი ლ. ხ—ძე იქმნა დანიშნული, ხონის სოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებული, რომელიც დიდხანს არ დარჩენილა ოჩამჩირეში, რადგან მალე გადავიდა ქუთაისში უკეთესს ადგილზედ.

ბ-ნ ხ—ძის შემდეგ ხსენებულ სკოლის უფროს მასწავლებლად დანიშნულ იქნა ბორის ხორავა, სამურზაყანოს მკვიდრი შვილი.

ბ-ნმა ხორავამ რამდენიმე ცვლილება შემოიღო სასწავლებელში. მაგალითად, სასწავლებელმა საბაღე ადგილი შეიძინა; ბაღოსნობის მასწავლებელი დაინიშნა და მოსწავლეთ შეძლება მიეცათ ბაღოსნობა ისწავლონ. სასწავლებელმა რამდენიმე ქცევა მიწაც შეიძინა. ამასთანავე გარეგნობითაც გამშვენიერდა სასწავლებელი: თავ. კ. ე—რის დახმარებით წინანდელზედ უკეთესი აივანი გაკეთდა, 200 მანეთამდე ღირებული და სხ. მაგრამ, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწავლის საქმე უკან თუ არა, წინ არ წავიდა ამ სასწავლებელში. წინად თუ მესამე განყოფილების მოწაფეები სოხუმის სამთო სასწავლებლის 1 კლასში იჭერდნენ ეგზამენს, ეხლა ისინიც ძლივს შედიან იმავე პირველ კლასში, რომელთაც სრულად დაამთავრეს სწავლა ოჩამჩირის ორ-კლასიანს სასწავლებელში და დანარჩენებს მოსამზადებელ კლასებშიაც უჭირთ შესვლა. გარდა ამისა მოწაფეთა რიცხვი საშინლად

ფელეტონი

სიყვარულის ვაზი

ქისტური გარდმოცემა

(ივანე ცისკარაშვილისა)

თარგმნილი რუსულიდგან

I

მთის ჩაჩანში, ანუ ქისტეთში ამჟამად *) სახელ-განთქმულია, როგორც შთამომავლობით, მამაცობით, სიმდიდრით და აგრეთვე ნაიბობის თანამდებობით, რომელიც მისცა მას შამილმა,—ალდამ, გვარად აშაქ-გარი. საცხოვრებელი ბინა მისი სოფ. ცამათაა, ჩანთეთის საზოგადოებაში.

ჯერ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქისტები და თუშები კეთილ ხავში იყვნენ ერთი-ერთმანეთთან, მაგრამ გახდა დაღესტნისა და ჩაჩანის ნაიბად შამილი თუ არა, ისევ ატყდა მათ შორის გამწვავებული მტრობა და სისხლის ღვრა. ამ დრომდის-კი მეგობრულად სცხოვრობდნენ და ნათესაობაც-კი ჰქონდათ.

ალდამის მამა აშაქი ერთგული და თავდადებული დოთ-თალი, ანუ ძმობილი იყო პაპიჩემისა.

ასეთი ძმობილობა მთიელებს შორის ერთ უწმინდაესს ღირსებათაგანს შეადგენს. ძმობილდებიან ამ გვარად: ერთი მათგანი, რომელთაც სურთ დაძმობილება, სდებს ვერცხლს რომელისამე სასმელით სავსე ჰიქაში. ჰიქიდგან სამ-სამჯერ სჳამს თითო და ბოლოს ვერცხლს იღებს პირში ის, ვის ჰიქაშიაც იყო ჩაგდებული. შემდეგ ჰპატიჟობენ ერთი-ერთმანეთს, განუცხადებენ ერთმანეთს მეგობრობას, სიყვარულს, სწყევლიან იმას, ვინც უღალატებს ძმობილს და მართლა ისე წმიდადაც ასრულებენ ამ ფიცს, რომ ბრძოლის ცეცხლში დაინახავენ ერთმანეთს თუ არა, განზედ ისვრიან თოფებს. ამის შემდეგ შეუძლიან წარმოიდგინოს კაცმა, თუ რას არ იზამს მთიელი ძმობილისათვის. როდესაც პაპაჩემი დაიჭრა სოფ. სულანტთან ქისტებთან ბრძოლაში, აშაქიმ, შეიტყო ეს თუ არა, მაშინვე მოიყვანა თუშეთში ქისტების პირველი ექიმი ძმობილის სამკურნალოდ. აშაქის საქციელმა ძალიან გააოცა პაპაჩემი, რადგანაც უკანასკნელ განშორების დროს გაუწყრნენ ერთი ერთმანეთს და ამისათვის იმედი აღარ ჰქონდა, რომ ისევ უწინდელი მეგობრობა დარჩებოდა მათ შორის.

— განა ისე ადვილად ივიწყებ წყენას, აშაქ? მიუბრუნდა პაპაჩემი, დაინახა ძმობილი ქისტი თუ არა.

— წყენა ყოველთვის მალე ივიწყება, მხოლოდ ძმობილებისა, მაგრამ სხვებისა კი ყოველთვის საშვილიშვილოდ გადადის,—გრძნობიერად უპასუხა ძმობილმა: მე წმიდა აღმასრულებელი ვარ ჩვენის ჩვეულებანისა, ღიმილით დაუმატა ქისტმა.

აშიქ-გარევს არა ერთხელ უთქვამს: თხო გურჯი ალი ბე (ჩვენ ქართველ მეფის შთამომავალნი ვართო), მაგრამ არავინ არ აქცევდა ყურადღებას. ამას წინად, ლაპარაკის დროს ერთმა სომხეთის ისტორიის მოყვარულმა მითხრა, რომ ვიღაც სომხეთის მეფის შთამომავალთაგანი აშაქიანი სომხეთში პოლიტიკურ განხეთქილების დროს გამოქცეულა და დამალულა კავკასიონის მთებში; თან წამოუღია თავისის შთამომავლობის ქაღალდებიო. მოესმა ჩემ ყურს „აშაქიანი“ თუ არა, მაშინვე ჩვენი ძმობილი აშაქ გარევი გამახსენდა. ცნობის მოყვარეობამ ამიტაცა. მივედი ჩემ სამშობლო თუშეთში თუ არა, გავგზავნე ქისტი მახამ-ხანი ჩვენის სახლის ძველ ძმობილ ალდამთან, რომ მოკითხვის შემდეგ შეეტყო მართლა ჰქონდათ თავიანთ შთამომავლობის რამე ქაღალდები თუ არა, და, თუ ჰქონდათ, ერჩია ჩემ მაგივრად დაჰმორჩილებოდა რუსეთის მთავრობას, რათა მით აღედგინა დაკარგული უფლება. მახამ-ხანი ხუთის დღის შემდეგ დაბრუნდა ქისტეთიდგან. ალდამს ძალიან ლმობიერად მიეღო ჩემ მიერ გაგზავნილი ქისტი, ძალიან მოხარული დარჩენილიყო ჩემის ამბის შეტყობისათვის, ეთქვა, რომ ქაღალდები, დაწერილი, როგორც ვფიქრობ, ქართულს ენაზედ მართლა მაქვსო, მაგრამ შამილის შიშით ჩავფალი მიწაშიო; მეშინიან, შამილმა რომ გაიგოს, წამართმევს და მეც სასჯელს მომაყენებსო, უიმისოდაც ეჭვი აქვს ჩემზედა. ამისათვის ალდამი მთხოვდა დამენიშნა საზღვარზედ იმისთანა ალაგი, სადაც ფარულად შეგვეძლო გვენახა ერთიერთმანერთი. იქ მაჩვენებდა თავისს ქაღალდებს და დარიგებასაც მთხოვდა,—როგორც უნდა მოქცეულიყო.

ბაასმა ჩემსა და მახამ-ხანს შორის კარგა ხანს გასტანა. ბევრი რამ საყურადღებო შევიტყე იმისაგან შამილისა და იმის მართველობის შესახებ დაუცხრომელ ჩაჩან-დაღესტნელებში და დავრწმუნდი, რომ შამილის უფლება ძლიერ შევიწროებულია დაღესტანში, ნამეტნავად ჩაჩანში, სადაც მხოლოდ რუსების გამოჩენას ელიან, რომ მორჩილება გამოუცხადონ...

— აბა, კიდევ რა ახალი ამბავი იმის ცამათაში? დავეკითხე ლაპარაკის ხალისიან ქისტს.

— ახალი ამბავი კიდევ ის იმის ცამათაში, მიპასუხა მახამ ხანმა, რომ ალდამის უფროსმა ვაჟმა მაჩიმ ქისტების, დიჩინის და ტერელოს საზოგადოების ნაიბობა მიიღო და ერთად-ერთმა მისმა ასულმა, მშვენიერმა ლამზურმა, გულით მოწადინებული საქმრო აირჩია და სიყვარულის ვაზის წინ შეჰფიცა.

— რაო, სიყვარულის ვაზი? თქვენ ვგონებ, მაგის შესახებ რაღაცა გარდმოცემა გაქვთ? თუ იცი, ერთი მიამბე, მახამ-ხან.

ამაყმა ქისტმა ჩამოისვა წვერებზედ ხელი და განაგრძო:

დიაღ, ქისტებში ეს გარდმოცემა ყველას გაგონილი აქვს; ყოველ ლხინში გაზელოს და ომარ ალის უბედურ სიყვარულის შესახებ მღერიან ხოლმე.

ომარ-ხანმა დაახლოვებით შემდეგი მიამბო:

გაზელო დიჩინის მამასახლისის ასული იყო. ჯერ ისევ ბავშვი იყო იგი, როდესაც მამა მოუკვდა და მას შემდეგ განსაკუთრებით ალერსიან დედის ხელში აღიზარდა. ყველანი, ვისაც-კი ენახა, ამბობდნენ, რომ სხვა ბედნიერ ვარსკვლავზედ დაბადებული; აგეთი ლამაზი ჩვენს ქვეყანაში ჯერ არა ყოფილაო. მართლაც, ზღაპრებში აღწერილი სილამაზე თუ შეედრებოდა გაზელოს სიმშვენიერეს!.. ჯერ ისევ ბავშვი იყო და მდიდარი ურბეთები *) თავს აბეზრებდნენ დედას, მაგრამ დედა მისი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი შვილი და თავისის დაუძლურებულ სიბერის ერთად-ერთ ნუგეშად სთვლიდა, მისის გულის ბედნიერებას ამჯობინებდა ქვეყნის ყოველ სხვა სიმდიდრეზედ. გაზელოს გულმა თექვსმეტ წლამდის სიყვარული, არ იცოდა, რა იყო. შესრუ-

---

*) ავტორის მიერ დაწერილია ეს შამილის დროს.

*) ურბეთები—ქრთამის მძლევლები.

შემცირდა. ეხლა იმის ნახევარიც აღარ არის სასწავლებელში, რაც ბ-ნ ეშიბაიას დროს იყო. საზოგადოება სასწავლებლის საჭიროებას გულ-ცივად ეკიდება. თვით ბ-ნ ხორავა უმეტეს ნაწილად მგზავრობაშია: ხან სოხუმში დადის, ხან ქუთაისში და ხან კიდევ სხვაგან. აი, აგერ ათი დღე იქნება, სად წავიდა, არავინ იცის. მართალია, ამბობენ—ნიკოლაევკაში (მოლდავანების სოფელია სოხუმის ოლქში) გადაიყვანეს მასწავლებლად, მის ადგილზედ ოჩამჩირეში სხვა მასწავლებელია დანიშნული ბ-ნი კუგატოვიო, მაგრამ ვისგან ჩაიბარის საქმეები ამ უკანასკნელმა? მასთანვე არავინ იცის, ხორავას დროს რამდენი იყო გარეშე სოფლიდგან მოსწავლენი, რას იხდიდნენ და ვინ სარგებლობდა ამ ფულით.

ხორშელი

რუსეთი

გაზ. „Свѣтъ"-ის სიტყვით, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ქ. სამარაში 1900 წელს იქმნება დაარსებული.

— საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სახალხო კითხვების გამართვის საქმე.

— ვორონეჟის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედების სამინისტროს წინაშე ქალაქ ვორონეჟში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ვორონეჟის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა—თუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, დაუთმოს ინსტიტუტს უსასყიდლოდ საჭირო მიწა შენობის ასაგებად.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, აზრიადა აქვთ მერმის პეტერბურში გამართონ მერძეობის ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენა დაიწყება პირველ სექტემბერს და გასტანს პირველ ოქტომბრამდე. სხვათა შორის ამ გამოფენაში კავკასიის განყოფილებაც იქმნება. სხვა სახელმწიფონიც მიიღებენ მონაწილეობას. უკვე განაცხადეს თანხმობა შვეციამ, გერმანიამ და შვეიცარიამ. გამოფენის გასამართად საეკონომიო საზოგადოებამ 5,500 მანეთი გადასდო, ამავე საგნისთვის სამინისტრო გადასდებს 10,000 მანეთს.

„Сынъ От." იუწყება, რომ აზრადა აქვთ მერმისავე მოახდინონ სრულიად რუსეთის მეაბრეშუმეთა კრება. ჯერ გარდაწყვეტილი არ არის, რომელ ქალაქში მოხდება ეს კრება.

— საერო განათლების სამინისტრომ აცნობა მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ რადგანაც ფრანგულის ენის მასწავლებელნი ძვირად მოიპოვებიან, ამ ენის მასწავლებლად საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში შეიძლება ის ქალებიც იქმნან დანიშნული, რომელთაც პედაგოგიური განათლება მიუღიათ და ფრანგულის ენის ცოდნის მოწმობა აქვთ.

უცხოეთი

საფრანგეთი. ინგლისის მთავრობა და გაზეთებიც წინად უბნებოდნენ საფრანგეთს, რომ სანამ ფაშოდას არ დასცლით, არავითარი მოლაპარაკება არ მოხერხდება ჩვენ შორის; ხოლო როცა იქიდგან თქვენს რაზმს გაიყვანთ, მაშინ გულდასმით შეგვიძლიან მოლაპარაკება გავმართოთ ერთმანეთთან და ფაშოდის ნაცვლად სხვა უკეთესს ადგილს მიიღებთო. ძალით იყო, თუ ნებით, საფრანგეთმა უკვე შეასრულა ინგლისის სურვილი—ფაშოდა დასცალა, მაგრამ იმის ნაცვლად ინგლისელებისაგან არავითარს კმაყოფილებას არ ხედავს. პირიქით, ინგლისის გაზეთები გაიძახიან ეხლა, რომ საფრანგეთი მტყუანი იყო და დასცლიდა ფაშოდას, მაშ რას იზამდაო; თუ თავის ნებით არ დასცლიდა, ძალით დავაცლევინებდითო და სხ. ერთი სიტყვით იმის ნაცვლად, რომ გულდაწყვეტილი ფრანგები დაამშვიდონ და ცოტა გული მოულბონ დანაპირების შესრულებით, ინგლისელები თავიანთის ყოფაქცევით უფროც აჯავრებენ მათ.

საფრანგეთის საზოგადოებას და ჟურნალ-გაზეთობას ამ ჟამად მეტი არა დარჩენიათ-რა, მხოლოდ მომავალზედ უნდა იფიქრონ, რომ ასეთი შერცხვენა არ შეარჩინონ ინგლისელებს. უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში საფრანგეთმა დიდ-მალი ადგილი შეიძინა აფრიკასა და აზიაში, მაგრამ ახალშენების მართვა-გამგეობა იგივეა დღესაც უცვლელად, რაც მეორე იმპერიის დროს იყო. ხოლო, რაღა თქმა უნდა, საახალშენო საქმეებში ბევრი მოცილე აღმოუჩნდა საფრანგეთს. ინგლისს რომ თავი დავანებოთ, გერმანიაც უკანასკნელს ხანებში საახალშენო პოლიტიკის გზას დაადგა და ძალაუნებურად საფრანგეთს უნდა გადაელობოს წინ. ფაშოდას საქმემ აშკარად დაანახვა ფრანგებს, მათი საახალშენო წეს-წყობილება რამდენად დამველებულია და რამდენად ეჭირვება განახლება.

საფრანგეთის ზოგმა გავლენიანმა გაზეთმა აღიმაღლა ეხლა ხმა, რომ ჩვენს საახალშენო საქმეებს შესამჩნევი ცვლილებანი სჭირდებაო; საუკეთესო მოღვაწეთა აზრით, უპირველეს ყოვლისა ახალშენებისათვის განსაკუთრებული ფლოტი და მხედრობა არის საჭირო, რომელთაც შეძლება უნდა ჰქონდესთ საკადრისი პასუხი გასცეს ინგლისს.

ოსმალეთი. გაზეთების სიტყვით, კრიტის განთავისუფლება მორჩომილი საქმეა, დიდმა სახელმწიფოებმა ეხლა თავიანთი ყურადღება უნდა მიაქციონ მაკედონიას, მცირე აზიას და განსაკუთრებით სპარსეთის საზღვარზედ მდებარე ვილაიეტებს, სადაც ამ ჟამად ნამდვილი ანარქია არსებობს.

როგორც „Temps" ი ამბობს, რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის თევფიქ-ფაშისთვის 24 ოქტომბერს ნოტა გარდაუცია, რომლითაც ელჩი თხოულობს ოსმალეთიდგან გაქცეულ სომხების უკანვე დაბრუნებას კავკასიიდგან და აგრეთვე იმას, რომ კოსსოვის ვილაეტის სერბების თხოვნა შეწყნარებულ იქმნასო.

დამაკვირდი

ცოლ-ქმრობა ყოვლად ბედნიერი მაშინ იქმნება, ქმარი რომ ყრუ-მუნჯი იყოს, ხოლო ცოლი—უსინათლო.

მონტენი

* * *

სადაცა იყოს საფასე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი.

იოანე (983 წ.)

* * *

დიდი ბრალობაა შემთხუევის თარგმანთა, რომელნი არ განკერძალნენ.

(დახი X ს.)

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გერმანიის პედაგოგებსა და მოწაფეთა შორის დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია შემდეგმა ამბავმა: ერთმა მასწავლებელმა სკოლაში სილა უთავაზა ერთს მოწაფეს და ისე ძლიერ გაარტყა თურმე, რომ ყური დაუშავა. მოწაფის მშობლებმა უჩივლეს მასწავლებელს. თვით მასწავლებელმა აღიარა, მართალია, მოწაფეს სილა გავარტყი, მაგრამ ეს დანაშაულად არ ჩაითვლება, რადგანაც სრული უფლება მაქვს მე თითონ ავირჩიო სასჯელი დამნაშავე მოწაფეთათვისაო. სასამართლომ მასწავლებელი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ჯარიმის გადახდევინება მოწაფის მშობლების სასარგებლოდ. მასწავლებელმა საქმე გადიტანა უმაღლეს სასამართლოში, ხოლო პედაგოგებმა ასტეხეს ერთი აურ-ზაური და ამტკიცებდნენ, რომ თუ უმაღლესმა სასამართლომ არ გააუქმა ზემოხსენებული განაჩენი, მოწაფეთა სწავლა და აღზრდა ძლიერ ძნელი შეიქმნებაო. მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ დაამტკიცა ეს განაჩენი. პედაგოგები ძლიერ უკმაყოფილონი დარჩნენ ამითი და ამბობენ, ამიერიდგან შეუძლებელია, ყოველგვარი უბედურება დაატყდეს იმ ქვეყანას, სადაც მოზარდის თაობის დასჯა არ შეიძლებაო.

* * *

წელს ირლანდიაში დიდი შავი წვიმა მოვიდა. წვიმის დროს ისე ბნელოდა, რომ სახლებში სანთლები დაანთეს. ცა დაფარული იყო შავის ღრუბლით, რომელიც მძიმედ მიდიოდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ. წვიმის წყალი გასინჯეს და შიგ აღმოჩნდა ჭვარტლი, რომელიც თან აჰყოლია ღრუბელს იმ ადგილიდგან, სადაც ძლიერ ბევრი ქარხანაა. მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ ეს ჭვარტლი ღრუბელმა გადმოიტანა შოტლანდიის სამხრეთ ქალაქებიდგან და ჩრდილო-ინგლისიდგანაო. ვიდრე ეს წვიმა მოვიდოდა, ერთის თვის წინად დიდი გვალვა ყოფილა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი უბერავდა თურმე.

* * *

ერთს ფრანგულს ჟურნალში დაბეჭდილია ცნობები შესახებ იმისა, რამდენ ქვის ნახშირსა სწვამენ ისეთი დიდი ცეცხლის გემები, როგორიც არის, მაგალითად, გემი „თავადი ბისმარკი", „კოლუმბია" და სხვანი, რომლებიც ჰამბურგსა და ჩრდილო ამერიკას შუა დადიან. თითოეული ასეთი გემი დღეში სწვავს 16,000—19,000 ფუთს საუკეთესო ნახშირს, ასე რომ ვიდრე ეს გემი ჰამბურგიდგან ნიუ-იორკში მივიდოდეს, 130,000 ფუთი ქვის ნახშირი უნდა დასწვას. ამოდენა ქვის ნახშირის მისატანად გემზე საჭიროა სულ ცოტა ოთხი მატარებელი და თითო მატარებელს უნდა ჰქონდეს სულ ცოტა ორმოცდა-ათი ვაგონი. ესეც კიდევ ცოტაა. გემის უფროსები ძლიერ ფრთხილად იქცევიან და ისეთ თადარიგს იჭერენ, რომ თან ერთი-ორად მიაქვთ ნახშირი, ვიდრე საჭიროა. თითოეულ ამ უზარ-მაზარ გემზე მსახურობს სულ ცოტა 24 ინჟენერი და მემანქანე და 130 მუშა, რომლებიც დღე და ღამ ფეხზე დგანან და ქვაბებში ქვის ნახშირსა ჰყრიან. ის გემები, რომლებიც ჰამბუ-

---

ლდა თექვსმეტის წლისა. ეს ხანი საკმარისია, რომ მომწიფდეს ქისტის ქალი. ამ დროიდგან-კი მის გულს ევლებოდნენ სრულიად ახალი, მისთვის გაუგებარი და უანგარიშო გრძნობანი, რომლებისაც ეშინოდა, როგორც საშინელის სიზმრისა. მაგრამ დედა თავისის ალერსიან სიტყვებით აშოშმინებდა... ქალი მალე შეეჩვია ამ გრძნობებს, ნამეტნავად იმ დროიდგან, რაც მისი ქალწული გული შეიპყრო ერთმა ახალგაზდა ლამაზმა ცამეტინელმა ქისტმა, რომელიც ერთხელ იმ მთებში მდგარ ცხვარში მისვლის დროს ესტუმრა იმისს დედას.

პირველ შეხედვითვე შეუყვარდა გაზელოს ახალგაზდა სტუმარი, მისი სახელი ღრმად ჩაეჭედა გულში. ქისტს ომარ-ალი ერქვა. მშვენიერი გაზელო ჩქარ-ჩქარა იგონებდა თავისს დედის და ომარ-ალის შორის მომხდარს საუბარს; ეს საუბარი ეხებოდა რუსების ჩაჩანში შესვლას, სადაც მოჰკლეს მისი მამა.

რა ახალგაზდა და სახელოვანი მეომარიაო! ჰფიქრობდა გაზელო. იმისს თეთრ და ამაყ შუბლზედ მოსჩანს ჭრილობა გიაურებთან ბრძოლაში მიღებული, მისი დიდრონი შავი თვალები ცეცხლს აფრქვევს, მეტოქეს იწვევს საბრძოლველად და ქალს-კი სასიყვარულოდ... რისი უნდა ეშინოდეს კაცს იმისს მფარველობის ქვეშ? მისი ვერცხლის ქამრით შემორტყმული წვრილი წელი ამშვენებს ცქვიტ შავრას. ვერცხლით და ოქროთ შეკაზმული მისი მდიდარი იარაღი მზის სხივებზედ ლაპლაპებს.. ვერა, ვერ დავსტკბებოდი მისის ცქერით! მე რომ მეკუთვნოდეს? მაშ სად არის ეხლა?.. ბევრი ხანია, რაც თვალი არ მომიკრავს მისთვის, მაგრამ ვნახავ-კი როდისმე?!....

ამ დროს ხევს იქით მთებში თოფი გავარდა და მისი ხმა გრგვინვით მოედო გარემო მთებს. ავარდა ლურჯი ბოლი და გაიფანტა ცის სივრცეში. იმ ალაგიდგან, სადაც ბოლი ავარდა, რაღაც შავი ჩამოგორდა კლდეზედ და დავარდა ძირს ვაკეზედ, სადაც თეთრად გაშლილი ცხვრის ფარა სძოვდა. გაზელომ, რომელიც ფიქრში გართული გაიყურებოდა იმ მხარისაკენ, გაარჩია კლდეზე ჩამომავალი კაცი თოფით შეიარაღებული.

— ახ, ეგ რომ ომარ-ალი იყოსო!.. ალტაცებით წარმოსთქვა თავისთვის გაზელომ და თვალები იმედით გაუბრწყინდა.

მართლაც ის კაცი ომარ-ალი იყო. ომარ ალიმ ჩააბარა ცხვარი მწყემსს და თვითონ გავიდა მთებში სანადიროდ, შეხვდა ჯიხვი და ტყვიით განგმირული ჩამოაგორა კლდეზედ. ნადირობაში ეძიებდა იგი გულის გასართობს; იწვოდა მის შემდეგ, რაც ის მშვენიერი ქალი ჰნახა. დიაღ, ომარ-ალის უყვარდა, უყვარდა მშვენიერი გაზელო!.. მაგრამ ეს სიყვარული ჩვეულებრივი არ იყო. იგი ძლიერი იყო, როგორც თვით სული მთიელისა, მხურვალე, როგორც მისი სისხლი, და უცვლელი, როგორც მისი მოუდრეკელი ხასიათი, ეს ის სიყვარულ ყო,- რომელიც ამხობს და სპობს ყოველს დაბრკოლებას!... სიყვარული აღიძრა მის გულში იმ დროს, რა დროსაც გაზელოს შეხვდა პირველად, მაგრამ ომარ-ალის სალაპარაკოთ არ ენახა ჯერ გაზელო, მხოლოდ თავისის გულის პასუხი ერთს თავისს ნათესავ ქალს გაუმჟღავნა, რომელიც გაზელოს მეზობლად სცხოვრობდა, სთხოვა გარდაეცა საყვარელ ქალისათვის მისის გულის პასუხი და, თუ თანახმა გახდებოდა, რაც შეიძლება ჩქარა მოეხდინათ ნიშნობა, როგორც მოითხოვდა მისის ქვეყნის ჩვეულება. თვითონ-კი გარდაიხვეწა მთებში, რადგან უარის გაგონებისა ეშინოდა. მაგრამ შეეძლო განა შორს წასულიყო იმ ალაგიდგან? შეეძლო განა არ ესუნთქა მასთან ერთად, ერთისა და იმავე ხევის ჰაერით, ყური არ ეგდო ერთისა და იმავე ჩხატების ჩხრიალისთვის, ან ხან და ხან მაინც არ მიექცია მისი ყურადღება თავისის ხირიმის მჭეხარე ხმით? გადაიარა მხოლოდ ერთი ხევი და გაღმა მთებიდგან გაიყურებოდა იმ სოფლისკენ, სადაც მისი გაზელო იმყოფებოდა. იქ, იმ მთებში, მოუთმენლად გულის კანკალით ელოდებოდა ან „ჰო"-ს და ან „არა"-ს. ამ ლოდინში ათასი ფიქრი სტანჯავდა მისს აღშფოთებულ გულს და პასუხის ლოდინში ასე ჰფიქრობდა:

— ნუ თუ აქამდის უბედური ვიყავ, რომ ბედნიერებას ვეძიებდი ჩემის ქვეყნიდგან შორს თოფის სროლით, ხმლის მრისხანე ქნევით, ცხენის მკვირცხლ ჯირითით და მიხაროდა, როდესაც მთის ახალგაზდები ტაშის კვრითა და ქება-დიდებით მილოცავდნენ გიაურებზედ გამარჯვებას!? მაშინ მე, დიდებით აღფრთოვანებულს, მთელის ქვეყნის მპყრობელად მიმაჩნდა ჩემი თავი.... ან იქნება ეხლა ვარ უბედური, როდესაც ვფიქრობ, რომ ვპოვე ბედნიერება აქვე ახლო სოფელში და ეს ბედნიერება მშვენიერი, ახალგაზდა ქისტის ქალია, რომელმაც მთლად დამიპყრო და მზადა ვარ აღვასრულო ყოველი მისი ბძანება, ოღონდ ჩემ საკუთრებად გახდეს და განუშორებლივ ჩემთან იყოს?!.. არა, არავუბედურობ. ყოველი კაცი თავისის თავის ბრძანებელი და ბატონია... და მეც! ეს მონობა, თუ გინდ სირცხვილი იყოს, თუ ჩემი სიყვარული სირცხვილად ჩაითვლება,—უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე წინანდელი დიდება და უფლება. დეე, გინდ მთელმა ქვეყანამ განმაშოროს, მხოლოდ გაზელო-კი ხელს ნუ მკრავს! კავკასიონის მთებში ბევრი კლდეა კაცისათვის მიუდგომელი, იქ გავიყვან ბილიკს, იქ გავაკეთებ პატარა ქოხს, ტყეებისა და კლდეების გარემო მრავალი ნადირი მოიპოვება, რომლის გემრიელი ხორცი გვეყოფა საზრდოდ მე და ჩემს საყვარელ გაზელოს; ვაი მას, ვინც გაჰბედავს ჩვენის ბედნიერების დარღვევას! არა, ბედი ისე შეუბრალებლად არ მომეპყრობა. არც გაზელო და არც ხალხი არ მომეპყრობიან ისე სასტიკად... დააფასებენ ჩემს სიყვარულს, ყველას ძმა და მეგობარი ვიქნები; დაგვლოცონ მშობლებმა და ნათესავებმა, ჩვენს მეჩეთში გაისმას ალლაჰის წინაშე მღაღადებელი ლოცვის ხმა მოლლისა და მაშინ შევიქნები ნამდვილად სასარგებლო წევრი ჩვენის საზოგადოებისა, დამამშვენებელი ჩემის გვარისა და ღირსეული შვილი ჩემის წინაპრებისა, რომელნიც ყოველთვის განთქმულნი იყვნენ მთელს ქისტეთში! მაგრამ როდის დადგება ის სანატრელი დრო, საყვარელო ჩემო გაზელო?!. როდის იქმნება გადავეხვიო შენ ლერწამ ტანს, ვუყურო შენს მშვენიერს სახეს, მივიკრა გულში შენი ნაზი, თეთრი, როგორც მთის თოვლის გუნდი, ხელები და გულ-მშვიდად ვთქვა: ეხლა ჩემი ხარ-მეთქი... თუ ყოველივე ეს ამისრულდა და არ მოვკვდი მეტის-ბედნიერებისა და სიყვარულისაგან, უკვდავი ვყოფილვარ! .

(შემდეგი იქნება)

რგსა და ამერიკას შორის დადიან, წელიწადში თურმე 10,000,000 ფრანკის ნახშირსა სწვავენ.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ნზ)

ხელნაწერი წიგნი № 142 (ტყავ., გვ. 502, in quar.) არის კრებული სხვა-და-სხვა წერილთა, რომელთაგან ზოგი გადაწერილია დავითისაგან და ზოგი სხვათაგან.

კაბად. 83 (ტექსტის ხელით): „წმიდაო სვმეონ შეიწყალე თეოდორე ცოდვილი“. (ესრევე აწერია 376 გვერდზედაც). კაბად. 105 (ტექსტის ხელით):

ლოცვა ყავთ წმიდისა მამისა დავითისთვის, რომელმან ესე (მართას ცხოვრება) ბერძულისაგან ქართულად თარგმნა ღმერთმან შეაწიენ წმიდაჲ მართა:. წმიდაო დედაო მართა მეოხ გვეყავ წინაშე ღ~თისა ჩუენ ცოდვილთა ვითარცა გუაქუს კადნიერებაჲ. თეოდორეს ცოდვილსა და ძმათა ჩუენთა: ეზეკიელს და ეფრემს: სულსა მშობელთა ჩუენთასა მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა:

ლოცვა ყავთ თეოდორე მწარედ ცოდვილისათვის. დიდითა გულს მოდგინებითა ვიღუაწე აღწერად ცხორებაჲ ნეტარისა მართაისი საყოფელსა წმიდისა სვმეონისსა მწირობასა შინა ქრ~თითსა ეკკლესიაჲთა არა მენახა მადლმან მისმან განმრჯუა მე მცირედ ღირს ვიყავ ცოდვილითა კელითა გარნა მადლი ნეტარისა მართაჲსი ყოველსავე სრულ ჰყოფს თხოვასა მვედრებელთა მისთასა სარწმუნოებით.

ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას ცხორებასა ნეტარისა სამღდელონი და დიაკონნი წმიდანი მამანი მომცაკსენებულ ვართ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა მადლითა და მეოხებითა სამგზის სანატრელისა წმიდისა მართაჲსითა და საკვირველთ-მოქმედისა ძისა მისისა სვმეონისითა *) თქუენ და ჩუენ ყოველნი საუკუნესა ცხორებასა ამინ.

ამას მისდევს სხვა წერილები: ა) ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ გრიგოლ ნოსელისა, თარგმნილი წმ. ეფთვიმეს მიერ მთაწმიდელისა (გვ. 107), ბ) სწავლანი გრიგოლ ღვთის მეტყველისანი, ეფთჳმეს მიერ თარგმნილი (გვ. 197), გ) ქებაჲ და დიდებაჲ და შესხმაჲ და გალობაჲ ყოვლად წმ. ღთის მშობლისა, აღწერილი მაქსიმე ფილოსოფოსისა და აღმსარებლისა და თარგმნილი ეფთჳმეს მიერ მთაწმიდელისა, (გ. 203).

ამ უკანასკნელი წერილის სათაურის ზემო აწერია (ტექსტისავე ხელით): „უფალო შეიწყალე სული თეოდორესი წყალობითა შენითა“, ხოლო ქვემო: „წმიდაო ღთის მშობელო: ადიდე: ორსავე შინა: სუფევათა: გრიგოლ; ერისთავთ ერისთავი: სულითა და ჴორცითა: ნებასა ღუთისასა ზედა: შვილითურთ ამინ:. ქრისტე მალ ჩემდა და ყოველნი წმიდანი: შემწე ჩემდა“:.

კაბად. 202—203, არშიაზე, არა ტექსტის ხელით ვკითხულობთ.

ქ:. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან რევისშვილმან ბოვნელ ეპისკოპოზმან იოსებ ვიყიდე წმიდაჲ ესე წიგნი მარგალიტი და შემოგწირე წრულეთს მეორედ ჩემგან აღშენებულსა ნათლის მცემის საყდარს საკსრად... ჩემთა შესანდობლად. ვინცა და რამანცა კაცმან გამოსწიროს ცოდვათა ჩემთათვსმცა განიკითხოს.

კაბად. 242 (არშიაზე, ძველის ხელით): ქ. ღმერთმანა უწყისა და წმიდამანა სვმონ დავრაჩი (=დავრჩი) მე ცოდვილი არასენი (=არსენი) წამიდის (წმიდის) სვმნას კარას (კარს)..., და კარას დავარჩი და ასეთი ჟამი იყო რაჲ თომეი (?)

მ. ჯანაშვილი

---

*) სვმეონ მესვეტის დედა იყო მართა.

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო:

„ქალ-ვაჟიანი“ ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული. ეს წიგნაკი 33-ჯერ არის გამოცემული.

* * *

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო ღვინობისთვის განმავლობაში 1898 წ.

საწევრო ფული

იაკობ სვიმონის ძე ზედგინიძისაგან 6 მ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 ნოემბერი

პეტერბურგი. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ბილეთების გაბათილების მეექვსე ტირაჟი: ნომრები სერიისა: 5998, 4221, 13708, 1295, 12582, 11441, 6032, 13420, 11204, 2218, 1370, 11583, 5586, 13541, 1078, 9106, 15537, 12218, 1745, 739, 15098, 6430, 2762, 7239, 6177, 6649, 15561, 13236, 4863, 13335, 8598, 8065, 6188, 7615, 3130, 4975, 360, 12244, 14615, 13974, 10657, 7032, 15616, 14048, 7807, 412, 15581, 10456, 8890, 11556, 5747, 10534, 4728, 10622, 12331, 13084, 7859, 11821, 9217, 15023, 6618, 14103, 9528, 12289, 12514, 1858, 13180, 1862, 3380, 13232, 15439, 977, 6372, 8510, 8686, 13362, 10878, 7321, 449, 14426, 12087, 4476, 15469, 7553, 14036, 11385, 3759, 2338, 3931, 14610, 2689, 2277, 15306, 11078, 11553, 1871, 15207, 3737, 9854, 12419, 14221, 9483, 12751, 2222, 5782, 4111, 5681, 424, 0078, 9919, 7108, 7379, 10988, 10055, 4025, 765, 8301, 9498, 11444, 9765, 14606, 3688, 1832, 1559, 13006, 6173, 12236, 10288, 776, 15378, 12373, 2105, 8335, 3238, 1420, 5526, 12071, 1571, 3522, 14435, 9730, 10005, 9996, 7580, 14503, 505, 15745, 10075, 4698, 1582, 8218, 2786, 2146, 11723, 15471, 10731, 2519, 6357, 9779, 4516, 2858, 3810, 11068, 491, 152, 14985, 1623, 36, 3879, 7456, 1619, 984, 14938, 8997, 5039, 15747, 2980, 9567, 5049, 3572, 9869, 3538, 12369, 10364, 4430, 12200, 7803, 13991, 1741, 3762, 6003, 15047, 2086, 4064, 11168, 13686, 92, 11194, 12450, 14737, 13474, 3907, 15293, 8409, 4508, 6691, 14022. 602, 4523, 5365, 1169, 7480, 7281, 8329, 8563, 2937, 6375, 2283.

2 ნოემბერი.

კანეა. შაქირ-ფაშა და ოსმალეთის ჯარი გემებზედ დასხდნენ.

პარიჟი. საკასაციო პალატამ მოისმინა ცურლინდენის ჩვენება და შანუანი გამოიხმო.

კანეა. სუდის ნავთ-სადგურში მოვიდა გერმანიის გემი „ხერტა“, საიდგანაც გარდაეცა ფოსტა სუდის ნავთ სადგურშივე მოსულ ხომალდს „გოგენცოლლერს“, შემდეგ ორივე გემი ზღვაში გავიდა.

ვაშინგტონი. [illegible]ინეტმა გაუგზავნა დეპეშა პა[illegible]ში სამშვიდობო კომისიის ამერიკის დელეგატებს. დეპეშაში ნათქვამია—ნულა განაგრძობთ მოლაპარაკებას იმის შესახებ ვინ უნდა განაგოს ფილიპეს კუნძულებს. მოლაპარაკების ერთად-ერთ საგნად უნდა იყოს ის თუ როგორ გადაეცეს კუნძული.

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. სოციალისტი ფურნიერი შეეკითხა იმ ბრალ-დების შესახებ რომელიც ურბან გოიეს დასდეს ამ უკანასკნელის მიერ ისეთის წიგნის გამოცემის გამო, რომელშიაც იგი ჯარს შეურაცხყოფას აყენებენ. ფურნიერმა იკითხა: რად სდევნიან ჯარის შეურაცხყოფისათვის, მაშინ როდესაც არა სდევნიან იმათ, ვინც მაგისტრატურას შეურაცხყოფას აყენებს. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ზოლას სამართალში მიცემის შესახებ და ძალიან შეაქო ზოლა. (ცენტრმა და ნაციონალისტებმა შეაწყვეტინეს ლაპარაკი; უკიდურეს მემარცხენეთ ტაში დაუკრეს.) დიუპუიმ განაცხადა, რომ პალატამ გადასწყვიტა ამას წინად სამართალში მივცეთ, ვინც ჯარს შეურაცხყოფას მიაყენებს. მთავრობამ იკისრა სამართალში მისცეს ყველა, ვინც შეურაცხყოფას მიაყენებს ჯარს, როგორც დაწესებულებასო. დიუპუიმ წაიკითხა რამდენიმე ადგილი გოიეს წიგნიდგან. ფურნიერმა წაიკითხა დრიუმონის წერილები. დრიუმონმა წინააღმდეგობა განაცხადა და სთქვა, რომ მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ მწერალნი სამართალში იქმნენ მიცემულნი, მაგრამ მსურს, რომ სამართალში მისცენ ებრაელი ბანკირები. კლოცმა წინააღმდეგობა განაცხადა. კავენიაკმა მოითხოვა,—ნება მომეცით შევეკითხო მთავრობას დრიუმონის სიტყვების გამო. დიუპუიმ მოითხოვა, ეს შეკითხვება ერთის თვით გადასცეთო და პალატამაც შეიწყნარა იგი. კრება ორშაბათამდის გადაიდო. სოციალისტმა ბრეტონმა შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ანარქისტთა წინააღმდეგ კანონი. დიუპუიმ განაცხადა, ეგ საქმე ისეთი საჩქარო არ არის, რომ მაგის გადადება არ შეიძლებოდესო. პალატამ 359 ხმის უმეტესობით 98 ხმის წინააღმდეგ, უარ-ჰყო ბრეტონის წინადადება.

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე №212-ში ახალ ამბად დასტამბულია ს. ალიდგან მოწერილი ანბავი, რომელიც მე შემეხება. კორესპონდენტი ბრძანებს: „1896 წელში ალის დამწვარ ვენახების პატრონთა სასარგებლოდ საფილოქსერო კომიტეტმა გადასდო 780 მ. და 27 კ. საზოგადოებამ ამ ფულის გამოტანა და განაწილება მიანდო ყულიჯანოვს, რომელმაც კიდეც გამოიტანა და გაუნაწილა ხალხს ფული, მაგრამ ყველას მეშვიდედი ნაწილი დააკლო და თითონ ჩაიდო ჯიბეში; და ამითი ირგო თითონ 101 მ. და 18 კაპეიკი“. კორესპონდენტის სიტყვით, ამის გამო ვითომ ხალხი ძალიან ჯავრობდა ჩემზედ. აგრეთვე ვითომ უკმაყოფილებას აცხადებდა ხალხი, რომ ალში მცხოვრებს გორის მოქალაქეს წილი რატომ ერგო საფილოქსერო კომიტეტისგან გამოცემულის ფულიდგან.

სოფელმა მართლა მე მომანდო ფულის გამოტანა და კიდეც გამოვიტანე, რომელიც დამწვარ ვენახების პატრონთ გავუნაწილე და ჩავაბარე. ხალხი დიდი მადლობელი დარჩა ჩემი, არც ავი ზაური შესდგომია და არც ალიაქოთი. მე არც ფეხის ქირა და არც შრომის ფასი არ ამიღია რაც შეეხება იმას, რომ ალში მცხოვრებ გორის მოქალაქემაც მიიღო ხვედრი ფული, ეგ ჩემი საქმე არ იყო, რადგანაც საფილოქსერო კომიტეტიდგან გამოწერილი სია მიჩვენებდა—ვის რამდენი ვენახი დაუწვეს და მე რა უფლება მქონდა ზოგისთვის მიმეცა სასყიდელი და ზოგისთვის არა. ერთი სიტყვით ხსენებული კორესპონდენცია თავიდგან ბოლომდე სიმართლეს მოკლებულია და კარგს იზამს ბ-ნი კორესპონდენტი ასეთი ტყუილი ამბებით მეორედ მაინც შეცდომილებაში არ შეიყვანდეს საზოგადოებას.

ღვთისწყალობ ყულიჯანოვი

განცხადებანი

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ გაზეთ „ივერიის“ ამა წლის ოქტომბრის 222 ნომერში, იმ მამულთა სიაში, რომელნიც დანიშნულნი არიან საჯარო ვაჭრობით გასასყიდად ხვედრის გარდასახადის შემოუტანლობისა გამო, აღნიშნულია შეცდომით სოხუმის მამულები შემდეგ მსესხებელთა: 1) გაბუნიასი ბეხვა მოსეს ძისა, 2) კოინჯოჯისა ელენე ანდრიას ასულისა, 3) გოჩელაშვილისა ანნა მიქელას ასულისა და 4) ნადარეიშვილისა დიმიტრი პავლეს ძისა. ყველა ამათ თავის დროზე შემოტანილი აქვთ ხვედრი გარდასახადი და ამიტომ მათი მამულები არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული საჯარო ვაჭრობით გასასყიდ მამულების სიაში.

(1—6.—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქვემოდ აღნიშნული უძრავი მამულები, რომლებიც დაგირავებულია ბანკში, დანიშნულნი არიან, ბანკის წესდების მე-14 მუხლის თანხმად, საჯაროდ გასასყიდად, რადგანაც ამ მამულების პატრონებს ხვედრი გარდასახადი არ შემოუტანიათ. მამულები არ გაიყიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხვედრი ფული შემოტანილი იქმნება.

სოფლის მამულები,

რომელთა პატრონებს მიეცათ მოკლე ვადიანი სესხი:

ჩოლოყაშვილი ბიძინა ოთარის ძე: ბაღი, მიწა ზომით 2 დესეტინა, 1980 ოთხ. კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრაში, სოფ. ახმეტაში.

წერეთელი კონსტანტინე დავითის ძე: ბაღი, მიწა ზომით 2 დეს. 1980 ოთხ. კ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრაში, სოფ. ახმეტაში.

ჩოლოყაშვილისა ნინო დავითის ასული: ბაღი, მიწა ზომით 2 დეს. 1980 ოთხ. კ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრაში, სოფ. ახმეტაში.

(1—6—1)

„ივერია“

1899 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50	5 „	5 „ 50
10 „	8 „ 75	4 „	4 „ 75
9 „	8 „ —	3 „	3 „ 50
8 „	7 „ 25	2 „	2 „ 75
7 „	6 „ 50	1 „	1 „ 50

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე, - ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, გაზეთი გაეგზავნება პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 3 го Ноября 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე